

შპს „შატო ზეგაანი“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

2023 წელი 31 დეკემბერი

სარჩევი:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება -----	3
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება -----	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება -----	5
ფულადი ნაკადების მოძრაობის უწყისი -----	6
ფინანსური ანგარიშგების ასხნა-განმარტებითი შენიშვნები -----	7 დან

შპს „შატო ზეგანო“,
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარში)

	შენიშვნა	2023	2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	<u>1</u>	1,846,711	2,055,553
არამატერიალური აქტივები		1,240	1,240
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,847,951	2,056,792
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	<u>2</u>	193	1,317
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	<u>3</u>	330,057	187,853
მარაგები	<u>4</u>	593,497	624,168
გაცემული ავანსი		179	31,677
გაცემული სესხები			
სულ მოკლევადიანი აქტივები		923,926	845,015
სულ აქტივები		2,771,876	2,901,808
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		802,112	802,112
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		(5,810,883.41)	(5,264,496)
გადაფასების რეზერვი			
სულ კაპიტალი		(5,008,771)	(4,462,384)
ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები			
გრძელვადიანი სესხები	<u>7</u>	7,137,327	6,733,709
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		7,137,327	6,733,709
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სესხის პროცენტი		233,057	233,057
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	<u>5</u>	394,954	386,114
საგადასახადო ვალდებულებები		15,309	11,312
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		643,320	630,483
სულ ვალდებულებები		7,780,648	7,364,192
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		2,771,876	2,901,808

დირექტორი:

/ლიანა ზუბაშვილი/

მთავარი ბუღალტერი :

/ანა ჭუმბურიძე/

მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისათვის რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	შენიშვნა	2022	2023
ამონაგები	8	188,908	365,664
თვითღირებულება		(64,580)	(139,815)
საერთო მოგება		124,327	225,849
სხვა შემოსავლები		195,165	21,224
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	10	(108,350)	(99,060)
მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები		(2,361)	(2,211)
სხვა ხარჯები	11	(724,101)	(663,246)
საოპერაციო მოგება		(515,319)	(517,443)
ფინანსური შემოსავალი			
ფინანსური ხარჯი			
წმინდა სავალუტო ზარალი/მოგება	7	(314)	(28,944)
მოგება დაბეგვრამდე		(515,634)	(546,387)
მოგების გადასახადი			
წმინდა მოგება		(515,634)	(546,387)
სხვა სრული შემოსავალი:			
გადაფასების რეზერვი			
მთლიანი სრული შემოსავალი		(515,634)	(546,387)

დირექტორი:

/ლიანა ზუბაშვილი/

მთავარი ბუღალტერი :

/ანა ჭუმბურიძე/

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2021 წლის 31 დეკემბერი	802,112		(4,748,863)	(3,946,751)
წმინდა მოგება/ზარალი	-	-	(515,634)	(515,634)
სხვა სრული შემოსავალი	-	-		-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	(515,634)	(515,634)
გაცემული დივიდენდი	-	-		-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-		-
2022 წლის 31 დეკემბერი	802,112	-	(5,264,496.36)	(4,462,384)
წმინდა მოგება/ზარალი	-	-	(546,387.19)	(546,387)
სხვა სრული შემოსავალი	-	-		-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	(546,387)	(546,387)
გაცემული დივიდენდი	-	-		-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-		-
2023 წლის 31 დეკემბერი	802,112	-	(5,810,884)	(5,008,772)

დირექტორი:



/ლიანა ზუბაშვილი/

მთავარი ბუღალტერი : *ა. ტყეშელაშვილი*

/ანა ჭუმბურიძე/

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს
(ლარი)

ფული პერიოდის დასაწყისში	1,317
საოპერაციო ფულადი შემოსავლები:	
ფულადი შემოსავალი რეალიზაციიდან	104,378
სხვა ფულადი შემოსავალი	6,603
სულ: საოპერაციო ფულადი შემოსავ.	110,981
საოპერაციო ფულადი გასაღებები:	
ნედლეული და მასალების შესყიდვაზე გაწეული ხარჯი	39,315
სახელფასო ხარჯი	168,499
საბანკო მომსახურების და კოვერტაციის ხარჯი	1,656
კომუნალური და კომუნიკაციის ხარჯები	135,275
საბიუჯეტო გადასახადი	71,811
სხვა ფულადი გასაღებები	63,378
სულ: საოპერაციო ფულადი გასაღებები	479,934
დაგროვილი ფული საოპ. საქმ-დან	-368,953


ფულადი შემოსავლები ფინანსური და საინვესტიციო საქმიანობიდან:

სესხის მიღება	460,639
აქტივების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი	64,501
გაცვლითი კურსის ეფექტისგან გამოწვეული ცვლილება	150
სულ: ფულ. შემოს. ფინ. და საინვ. საქმ-დან	525,291

ფულადი გასაღებები ფინანსური და საინვესტიციო საქმიანობიდან:

სესხის ძირის დაფარვა	77,185
ძირითადი საშუალების შესყიდვის და რემონტის ხარჯი	80,276
სულ: ფულ. გას. ფინ. და საინვ. საქმ-დან	157,461
დაგროვილი ფული ფინ. და საინვ. საქმ-დან	367,829
პერიოდის მანძილზე დაგროვილი ფული	-1,124
ფული პერიოდის ბოლოს	193.15

დირექტორი:



/ლიანა ზუბაშვილი/

მთავარი ბუღალტერი :

Handwritten signature of the Chief Accountant.

/ანა ჯუმბურიძე/

ფინანსური ანგარიშგების ასხნა-განმარტებითი შენიშვნები:

ზოგადი ინფორმაცია:

შპს „შატო ზეგანი“ (შემდგომში - „კომპანია“) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა -1998 წლის 17 აპრილს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 227717557.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ღვინის წარმოება ყურძნისგან და მიღებული ღვინის რალიზაცია.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებულ წლისათვის.

ფუნქციონირებადი საწარმო:

ხელმძღვანელობამ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპებზე დაყრდნობით, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციასა და ვალდებულებების დაფარვას კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში.

სამუშაო და ანგარიშგების წარდგენის ვალუტა:

საქართველოში ეროვნული ვალუტად დადგენილია ქართული ლარი, რომელიც კომპანიის სამუშაო ვალუტას წარმოადგენს.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლით კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის. სარგებელი ან ზარალი რომელიც წარმოიშვება ასეთი ოპერაციების შედეგად აღიარდება როგორც ფინანსური შემოსავალი ან ხარჯი. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

2022 წლის 31 დეკემბერს და 2023 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

პერიოდი	დოლარი (USD)	ევრო (EUR)
კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6894	2.9753
კურსი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	2.7020	2,8844

1. ძირითადი საშუალებები

ა) თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში მოგება-ზარალში ასახვით.

ა) შემდგომი დანახარჯები

შემდგომი ხარჯები დაემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას ან აღიარდება, როგორც აქტივი. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ბ) ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

მიწას ცვეთა არ ერიცხება, ხოლო დანარჩენ ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება ნაშთის შემცირების მეთოდით.

ძირითადი საშუალებები:

	2023 წელი
მიწის ნაკვეთი	41 649
შენობა ნაგებობები	559 156
მანქანა-დანადგარები	950 175
სხვა ძირითადი საშუალებები	295 731
	1 846 711

2. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოიცავს მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში, ასევე კომპანიის სალაროში არსებულ თანხების ნაშთს.

	2023 წელი
ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშებზე	180
ნაღდი ფული სალაროში	13
	193

3. სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები არის ბიზნესის ძირითადი საქმიანობის შედეგად მომხმარებლებისგან მისაღები თანხები, შესაბამისად ანგარიშგებაში კლასიფიცირებულია მოკლევადიან აქტივებად. სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (ზეპირი ან წერილობითი შეთანხმებების საფუძველზე). სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები იქმნება იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დავალიანების სრულად ამოღებას თავდაპირველად შეთანხმებული პირობების შესაბამისად.

	2023 წელი
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	330 057
	330 057

4. მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგების აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარიალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება მოიცავს შემენის დანახარჯებს. შემენის დანახარჯები მოიცავს: ნასყიდობის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა საგადასახადო ორგანოს მიერ დადგენილ დაბრუნებად გადასახადებისა), იმ პირდაპირ დანახარჯებს რომელიც აუცილებელი საქონლის სარიალიზაციო მდგომარეობაში მოსაყვანად. სხვა ხარჯები აღიარდება მოგება-ზარალში როგორც „ხარჯები“.

სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონლი ღირებულების მეთოდით.

	2023 წელი
მზა პროდუქცია	135 114
სხვა სმფ	458 383
	593 497

5. სავაჭრო და სხვა კრედიტორული ვალდებულებები

სავაჭრო კრედიტორული დავალიანების დარიცხვა ხდება, როდესაც კონტრაგენტი ასრულებს ან აქვს აღებული ვალდებულება შეასრულოს თავის ვალდებულებები საქონლის მოწოდებასა და მომსახურების მიღებასთან დაკავშირებით. კომპანიის კრედიტორული დავალიანება წარმოადგენს მოკლევადიან ვალდებულებებს.

	2023 წელი
კრედიტორული დავალიანებები	303 104
	303 104

6. სახელფასო განაცემები

ხელფასები, აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

	2023 წელი
გადასახდელი ხელფასი	60 740
	60 740

7. ურთიერთდაკავშირებული მხარეები

კომპანიას სასესხო ვალდებულებები აღებული აქვს ურთიერთდაკავშირებული პირებისგან. აღნიშნული ვალდებულებების ძირითადი ნაწილი დაფიქსირებულია ეროვნულ ვალუტაში (ლარში), ხოლო გარკვეული თანხა უცხოურ ვალუტაში (196 755 EUR). სასესხო ვალდებულება გადაფასდა 31/12/2023-ის მდგომარეობით და კურსთაშორის სხვაობით მიღებულმა ზარალმა შეადგინა 20 164 ლარი, აღნიშნული თანხა აისახა მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წმინდა სავალუტო ზარალის ანარისში.

	2023 წელი
გრძელვადიანი სესხი	7 137 327
	7 137 327

8. ამონაგების აღიარება

ამონაგების აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის/მომსახურების ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და ასევე, როდესაც შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება და მოსალოდნელია რომ კომპანიასი მიიღებს ეკონომიკური სარგებელს.

	2023 წელი
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	261 944
შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან	103 720
	365 664

9. სხვა შემოსავლები

კომპანიას საანგარიშო პერიოდში მიმდინარე სავაჭრო შემოსავლების გარდა უფიქსირდება სხვა ოპერაციებიდან მიღებული შემოსავლები, როგორიცაა მაგალითად ძირითადი საშუალების რეალიზაციით მიღებული შემოსავალი და სხვა ფინანსური შემოსავლები.

10. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ასახული ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს კომუნიკაციისა და კუმუნალურ ხარჯებს:

	2023 წელი
კომუნიკაციის ხარჯი	400
კომუნალური ხარჯები	98 660
	99 060

11. სხვა ხარჯები

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ასახული „სხვა ხარჯები“ მოიცავს შრომითი ანაზღაურების ხარჯებს, ასევე საგადასახადო ხარჯებს, საიჯარო ქირის ხარჯებს და სხვა დანახარჯებს:

	2023 წელი
შრომითი ანაზღაურება	231 184
ცვეთა და ამორტიზაცია	329 494
საიჯარო ქირა	41 400
საგადასახადო ხარჯი	24 405
საბანკო მომსახურება	1 602
სხვა ხარჯები	35 161
	663 246

12. ფულადი ნაკადების ანგარიშგება

კომპანიის ფულადი ნაკადების ანგარიშგება მომზადებულია პირდაპირი მეთოდის პრინციპით, მასში ასახულია წლის განმავლობაში საწარმოში შემოსული და გასული ფულადი სახსრების მოძრაობა ძირითადი კატეგორიების მიხედვით.

13. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები არის ის ხელსაყრელი ან/და არახელსაყრელი მოვლენები, რომლებიც მოხდა საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაცემად დამტკიცებამდე პერიოდში. 2023 წლის ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების მომენტისათვის კომპანიაში არ ჰქონდა ადგილი ისეთ მოვლენას რაც საჭიროებს ანგარიშგების კორექტირებას ან შენიშვნებში მათ ასახვას.

დირექტორი:

/ლიანა ზუბაშვილი/

მთავარი ბუღალტერი :

/ანა ჭუმბურიძე/